

2011 წლის 19 სექტემბერი
ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”
აღმასრულებელი საბჭოს სხდომის
ოქმი

19 სექტემბერი 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ №75

სხდომის დაწყების დრო 20:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ზვიად კორძაძე, ქეთევან ბექაური, იოსებ ბარათაშვილი, ნოდარ ფეიქრიშვილი, მალხაზ ჯანგირაშვილი.

დღის წესრიგი:

1. CCBE-ის საქართველოში ვიზიტის შესახებ მსჯელობა;

2. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება ;

3. ქ. ქუთაისის ოფისის გახსნის შესახებ მსჯელობა; ქუთაისში ადვოკატთა ასოციაციისთვის რეგიონალური ოფისის მენეჯერის თანამდებობაზე ეკატერინე გაბედავასთვის შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე 2011 წლის 1 ოქტომბრიდან (4 თვის გამოსაცდელი ვადით თანამდებობრივი სარგო 400 ლარი);

4. ქ. ქუთაისის ადვოკატთა ასოციაციის რეგიონალური ოფისისათვის დამლაგებლის დაქირავების თაობაზე (თანამდებობრივი სარგო 100 ლარი);

5. ქ. ქუთაისში ადვოკატთა ასოციაციის რეგიონალური ოფისის გახსნის თარიღის დადგენა;

6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალი ოფისის (მდებარე, ძმები ზუბალაშვილების ქ. 34-36-ში) შესახებ მსჯელობა; თავმჯდომარის მოხსენება მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ;

7. ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ 2011 წლის 23 სექტემბრიდან 07 ოქტომბრამდე.

8. ადვოკატ ცირა ჯავახიშვილის საქმის შესახებ თავმჯდომარის მოხსენება

9.სხვადასხვა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას 5000 (ხუთი ათასი) ლარი და ასოციაციის ბიუჯეტში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.
2. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწვევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწვევტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე;
გურამ გენგაშვილის ასოციაციაში გაწვევრიანებასთან დაკავშირებით, განმეორებით გაეგზავნოს წერილი შესაბამის დაწესებულებას. აღნიშნულ წერილზე პასუხის მიღებამდე, გურამ გენგაშვილის ასოციაციაში გაწვევრიანების საკითხზე მსჯელობა გადაიდოს .
3. ქუთაისში ადვოკატთა ასოციაციისთვის რეგიონალური ოფისის მენეჯერის თანამდებობაზე დამტკიცდეს ეკატერინე გაბედავას კანდიდატურა. აღნიშნულ პირს გაუფორმდეს შრომითი ხელშეკრულება 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 4 თვის გამოსაცდელი ვადით და გაგრძელების პერსპექტივით. რეგიონალური ოფისის მენეჯერის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 400 ლარით;
4. აყვანილ იქნას ქ. ქუთაისის ადვოკატთა ასოციაციის რეგიონალური ოფისისათვის დამლაგებელი და აღნიშნული შტატის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 100 ლარით;
5. ქუთაისში ადვოკატთა ასოციაციის რეგიონალური ოფისი გაიხსნას 2011 წლის ოქტომბერის თვეში;
6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალ ოფისში გათბობის სისტემის დამონტაჟების და სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით, ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას 10 000 (ათი ათასი) ლარი და ასოციაციის ბიუჯეტში შევიდეს შესაბამისი ცვლილება;
7. ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის რეგისტრაციის ვადა გაგრძელდეს 2011 წლის 23 სექტემბრიდან 07 ოქტომბრამდე.
8. ადვოკატ ცირა ჯავახიშვილის საქმის შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ განხორციელებულ იქნას კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება;

ზ ა ზ ა ს ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე